საექსპერტო დასკვნა

ქ. თბილისში, დიდი დიღომი, დიმიტრი თავდადებულის გამზირზე (ს/კ 01.10.06.006.239), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე

ქ. თბილისში, დიმიტრი თავდადებულის გამზირზე (ს/კ 01.10.06.006.239), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი შედგება: 2 მიწისქვეშა ავტოფარეხის, 1 ნაწილობრივ მიწისქვეშა ავტოფარეხის, 1 საოფისე და 11 საცხოვრებელი სართულისაგან.

სამშენებლო უბანი ხასიათდება შემდეგი ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლებით:

1. სეისმურობა – 8 ბალი;
2. ქარის დატვირთვა – 70 კგძ/მ^2.;
3. თოვლის დატვირთვა – 50 კგძ/მ^2.

საინჟინრო გეოლოგიური კვლევების რეკომენდაციიდან გამომდინარე, საძირკვლის კონსტრუქციად მიღებულია h=1.0 მ. საძირკვლის მონოლითური ფილისა და 1.0 მ. დიამეტრის მქონე ბურღვით-ნატენი ხიმინჯების ერთობლიობა.

ფილის დაფუძნება უმეტესწილად ხდება ფენა №2-ზე (თიხნარი, თიხის შუაშრეებით, ნახევრადმყარი კონსისტენციის) საანგარიშო წინაღობით R_0=2.3 კგძ/სმ^2, ხიმინჯების დაფუძნება ხდება ფენა №5-ზე, ფიქლებრივ თიხებზე (მაიკოპის წყება, ნახევრად კლდოვანი გრუნტი) საანგარიშო წინაღობით ერთღერძა კუმშვაზე წყალგაჯერებულ მდომარეობაში R_{cn}=13.0 კგძ/სმ^2

საძირკვლის მონოლითურ ფილაში და სარდაფის კედლებში გამოყენებულია პორტლანდცემენტზე დამზადებული B25 მარკის ბეტონი W_8 დანამატით.

საძირკვლის ბურღვით-ნატენ ხიმინჯებში გამოყენებულია სულფატომედეგ პორტლანდცემენტზე დამზადებული B25 მარკის ბეტონი W_6 დანამატით.

შენობის მზიდ კონსტრუქციას წარმოადგენს რკინაბეტონის კარკასი: მონოლითური სვეტები – კვეთით (60X70, 60X60, 50X60, 50X50, 40X40) სმ;

რიგელები და კოჭები – კვეთით (50X60. 50X60, 30X60, 20X60) სმ.

დიაფრაგმები – სისქით 20 სმ.

მიწისქვეშა სართულის კედლები - 30 სმ.

შენობის სართულშუა გადახურვები განხორციელებულია რკინაბეტონის მონოლითური ფილებით, სისქით 18 და 20 სმ.

კიბის კონსტრუქცია – რკინაბეტონის მონოლითური.

სახურავი - ბრტყელი, რკინაბეტონის.

მიწისზედა კონსტრუქციებში გამოყენებულია B25 მარკის ბეტონი.

არმატურა - A500c და A240c კლასის.

შენობების კონსტრუქციის გაანგარიშებები, ჩატარებულია გამოთვლითი კომპლექსის „LIRA Sapr 2016“-ის საშუალებით, რომელიც ეფუძნება სასრულ ელემენტთა მეთოდს და რეალიზებულია გადაადგილებებში.

არქიტექტურული ცვლილებების შედეგად მოხდა მორექტირების შემდეგი ცვლილებები :

1. ნიშნულ 3.300-ზე ‘ა’ – ‘ბ’ ღერძებს შორის ‘12’ ღერძის მიმდებარედ დაემატა კონსოლური ფილა.

2. ნიშნულ 17.80-ზე ‘9’ – ‘5’ ღერძებს შორის ‘ზ’ ღერძის მიმდებარედ დაემატა კონსოლური ფილა.

3. ნიშნულ 21.10-ზე ‘6’ – ‘8’ ღერძებს შორის ‘გ’ ღერძის მიმდებარედ დაემატა კონსოლური ფილა.

4. ნიშნულ 21.10 -ზე ‘2’ და ‘12’ ღერძებზე ‘ბ’ ღერძის მიმდებარედ შეიცვალა კონსოლური კოჭების კვეთი, იყო 40X60 და გახდა 50X60.

5. ნიშნულ 27.70-ზე ‘2’ – ‘3’ და ‘6’ – ‘7’ ღერძებზე ‘ე’ – ‘ზ’ და ‘დ’ – ‘ზ’ ღერძებს შორის გაჩნდა კიბეები, რომლებიც ადის ნიშნულ 31.00-ზე, შესაბამისად ნიშნულ 31.00-ზე არქიტექტურული პროექტის მიხედვით გაჩნდა კიბის ღიობები.

დასკვნა

არსებული ცვლილებები პროექტის არქიტექტურულ ნაწილში იმდენად მცირეა, რომ ისინი ვერანაირ გავლენას მოახდენენ შენობის მდგრადობაზე.

აქედან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ კორექტირების შედეგად შენობის მდგრადობა უზრუნველყოფილია და ეძლევა ცალსახად დადებითი საექსპერტო შეფასება.

საკონსტრუქტორო განყ.
მთავარი სპეციალისტი
ინჟინერ-კონსტრუქტორი
04.03.2022 წ.

გ. რეხვიაშვილი

საკვალიფიკაციო მონაცემი

სახელი, გვარი: **გიორგი რეხვიაშვილი**
დაბადების თარიღი 24 ივნისი, 1960 წ
დაბადების ადგილი: რუსეთი, ქ. კისლოვოდსკი
მოქალაქეობა: საქართველოს მოქალაქე
ოჯახური მდგომარეობა: დაქორწინებული
შვილები: 3 ქალიშვილი
სახლის მისამართი: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. № 51, კორპ 2, ბ. 31
ტელეფონი: (995 32) 29 43 64
სამსახურის მისამართი: საქართველო, თბილისი 0160, ალ. ყაზბეგის გამზ. №2; ტელეფონი: (995 32) 237 52 28

განათლება:

1978-1983 წ.წ. საქ. პოლიტექნიკური ინსტიტუტი,
სპეციალობა - სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობა

პროფესიული გამოცდილება:

1983 წლიდან 2010 წლამდე - სს „საქქალაქმშენპროექტი"- ინჟინერი, წამყვანი ინჟინერი, ჯგუფის ხელმძღვანელი, მთავარი სპეციალისტი-კონსტრუქტორი;
2010 წლის იანვრიდან დღემდე – შპს „ახალი საქქალაქმშენპროექტი" - მთავარი სპეციალისტი-კონსტრუქტორი;

მნიშვნელოვანი საპროექტო სამუშაოები:

- დას. საქართველოში მიწისძვრით დაზიანებული რაიონების აღდგენა;
- 19 ადმინისტრაციული, საკულტო, გასართობი და კვების ობიექტი
- მრავალი საცხ. სახლი, კოტეჯი, ბენზოგასამართი სადგური, ოფისი, საცხ. სახლების დაშენების პროექტები

ერთობლივი პროექტები:

- მაკდონალდსის რესტორანი დ. აღმაშენებლის გამზირზე, თბილისი;
- ქართულ ამერიკული სკოლა „მზიურის" ტერიტორიაზე, თბილისი;
- კათარზისის თავშესაფარი ისნის რაიონში, თბილისი;
- საბაჟო სადგურები „წითელი ხიდი" და „ყაზბეგი" (ინგლისურ-ქართულ ენოვანი პროექტირება კონსტრუქციული ნაწილის. ექსპერტიზა გაიარა ვისბადენისა და ვაშინგტონის ოფისებში);
- საბაჟო „ყაზბეგის" გაბიონების საყრდენი კედლები მდ. თერგზე;
- ყაზარმები და სამეთაურო პუნქტები საქ. სხვადასხვა რეგიონში;
- აჭარისა და იმერეთის რეგიონებში პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებები;
- ქ. თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონის მწვავე ავარიული საცხოვრებელი სახლების აღდგენა-გამაგრება;
- საბაჟო-გამშვები პუნქტი „ვალე";
- საბაჟო-გამშვები პუნქტი „სარფი";
- 10-14 სართულიანი საცხოვრებელი სახლი თამარაშვილის ქუჩაზე (უცხო ენების ინსტიტუტის უკან);
- 16 სართულიანი ვარსკვლავების სახლი ყიფშიძის ქუჩაზე;
- 15-16 სართულიანი მრავალფუნქციური ცენტრი ავლაბარში, ქეთევან წამებულის გამზირისა და შავი ზღვის ქუჩის გადაკვეთაზე;
- 6 მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლი ტაბიძის და ბარნოვის ქუჩებზე და „მზიურის" ტერიტორიაზე;

- „აოსის" 22 საოთულიანი სავაჭრო ცენტრი (სიმაღლით 82 მ) ქ. ბათუმში;
- 410-ბინიანი 18 სართულიანი საცხოვრებელი სახლი ქ. ბათუმში, ხიმშიაშვილის ქ.;
- საცხოვრებელი სახლები ქავთარაძის ქუჩაზე;
- „არსის" სავაჭრო ცენტრი – ქარვასლა ქ. თბილისში;
- „ოლიმპიური ვარსკვლავის" მრავალფუნქციური ობიექტი საბურთალოს ბაზრის ტერიტორიაზე (32-სართულიანი საოფისე ნაწილით);
- „მუხიანის ვარსკვლავის" სავაჭრო ცენტრი მუხიანში;
- 25-სართულიანი საცხოვრებელი სახლი მიშველაძის ქუჩაზე, ვაკის პარკის მიმდებარე ტერიტორიაზე;
- „დრიმ თაუნი" ქავთარაძის ბაზრის ტერიტორიაზე, 22-25 სართულიანი საცხოვრებელი კორპუსები;
- თბილისში 12 ავარიული საცხოვრებელი სახლის აღდგენა გამაგრების პროექტის ექსპერტიზა;
- ონის რაიონში მიწისძერის შედეგად დაზიანებული სახლების აღდგენა-გამაგრების პროექტები;
- 15 და 25 საწოლიანი საავადმყოფოების ტიპიური და მიბმის პროექტები.
- ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, 9 საყრდენი კედლის აღდგენა-მოწყობა;
- საავადმყოფოების მშენებლობის ზედამხედველობა;
- სოციალური მომსახურების ცენტრები საქართველოს მასშტაბით;
- დაბა სტეფანწმინდაში სასტუმრო „ყაზბეგი"-ს რეკონსტრუქცია;
- საქ. უზენაესი სასამართლოს რეკონსტრუქცია (II და VI სართ).

ენების ცოდნა: ქართული (მშობლიური), რუსული (თავისუფლად), ინგლისური (სუსტად)

კომპიუტერის ცოდნა: AutoCAD, Exsel, Word

დირექტორი ბ. მირიანაშვილი

დიპლომი

ЛВ № 050495

ეს დიპლომი მიეცა გიორგი ოთარის ძე რეხვიაშვილს

იმაზე, რომ იგი 1978 წელს შევიდა საქართველოს ვ.ი.ლენინის სახელობის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში

და 1983 წელს დაამთავრა აღნიშნული ინსტიტუტის

სრული კურსი სპეციალობით სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობა

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1983 წ. „5" ივლისის გადაწყვეტილებით გ.ო.რეხვიაშვილს მიენიჭა ინჟინერ-მშენებლის კვალიფიკაცია.

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე

ბ. ა.

რექტორი

მდივანი

ქალაქი თბილისი 1984 წ. „24" X

სარეგისტრაციო № 2201

Грузинский яз.

ДИПЛОМ

61

ЛВ № 050495

Настоящий диплом выдан Рехвиашвили Георгию Отаровичу

в том, что он в 1978 году поступил в Грузинский политехнический институт им. В.И. Ленина

и в 1983 году окончил полный курс названного института

по специальности промышленное и гражданское строительство

Решением Государственной экзаменационной комиссии от «5» июля 1983 г. Рехвиашвили Г.О.

присвоена квалификация инженера строителя

Председатель Государственной экзаменационной комиссии

Ректор

Секретарь

М. П.

Город Тбилиси «24» X 1984 г.

Регистрационный № 2201

Московская типография Гознака. 1983.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექცია

№ 41/ი1646-21

"13" 12 2021 წ.

დადგენილება №000897
სამშენებლო სამართალდარღვევის
საქმეზე

13.12.2021წ. ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7

მე, მუნიციპალური ინსპექციის უფროსის მოადგილემ ზაზა კვიციანმა, განვიხილე 2021 წლის 13 დეკემბრის №000897 შემოწმების აქტი შედგენილი, **შ.პ.ს. "გალაქსი კონსტრაქშენ"-ის** (ს/ნ №404987056; დირექტორი - დავით სილაგავა; მის: ქ. თბილისი, საბურთალოს რაიონი, მეფე მირიანის ქუჩა, №23, 1-2 სართული) მიმართ, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 132-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა" ქვეპუნქტის „ა.დ." ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დარღვევაზე და

გამოვარკვიე:

ქ. თბილისში, დემეტრე თავდადებულის ქუჩა, №10ბ-ში, ს/კ №01.10.06.006.239-ზე, **შ.პ.ს. "გალაქსი კონსტრაქშენ"-ის** მიერ განხორციელდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ს.ს.ი.პ. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის №4517128 27.05.2019წ. (№4548327 17.06.2019წ.) ბრძანებით შეთანხმებული კორექტირებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით. კერძოდ: მცირედით შეცვლილია ვიტრაჟების ნახატები. ნაწილობრივ შეცვლილია საპროექტო გრუნტის ნიშნულები. ფასადი "13-1": "13-12" მონაკვეთში აივნებზე დამატებით მოწყობილია კარები. +3.00 ნიშნულის ქვეშ "12" ღერძის მიმდებარეთ კედელს მონაცვლებული აქვს ადგილი. +13.50 ნიშნულზე "9-5" მონაკვეთში აივნების თავზე დამატებით მოწყობილია სართულშუა გადახურვის ფილა, გაზრდილია აივნების კედლების სიმაღლე. "12*-12" მონაკვეთში აივნებზე შემცირებულია ვიტრაჟების გაბარიტი. +36.60 ნიშნულიდან "9-8" და "6-5" მონაკვეთებში დამატებით მოწყობილია აივნის მცირე ზომის კედელი. ფასადი "1-13": "2-3" და "11-12" მონაკვეთებში შემცირებულია საპროექტო ფანჯრების სიგანეები, დამატებით მოწყობილია ფანჯრები. "4" და "10" ღერძებთან აივნებზე ლითონის მოაჯირის ნაცვლად მოწყობილია კედლები. +3.00 ნიშნლის ქვეშ ავტოფარეხის კედელზე დამატებით მოწყობილია ღიობები. +7.60 ნიშნულზე "5-6" და "8-9" მონაკვეთებში აივნებზე დამატებით მოწყობილია კედლები. +7.60 ნიშნულზე "3" და "11" ღერძებთან დამატებით მოწყობილია ტერასის გამყოფი კედლები. +13.50 ნიშნულზე "5-9" მონაკვეთში აივნების თავზე დამატებით მოწყობილია სართულშუა გადახურვის ფილა, გაზრდილია აივნების კედლების სომაღლე. +34.00 ნიშნულიდან შემცირებულია კიბის უჯრედის ღიობის გაბარიტი. ფასადი "ა-ზ": +7.60 ნიშნულზე "გ-დ" მონაკვეთში "დ" ღერძთან ფანჯრის ნაცვლად მოწყობილია აივნის მოაჯირი(პროექტის ხარვეზი). "ზ" ღერძის გარეთ აივნებზე ლითონის მოაჯირების ნაცვლად მოწყობილია კედლები. +0.00 ნიშნულზე შეცვლილია ავტოფარეხში შესასვლელი ღიობის მდებარეობა, კერძოდ ღიობი "ბ-გ" ღერძების ნაცვლად მოწყობილია "ე-ზ"

ღერძებში. ფასადი "ზ-ა": +7.60 ნიშნულზე "დ-გ" მონაკვეთში "დ" ღერძთან ფანჯრის ნაცვლად მოწყობილია აივნის მოაჯირი(პროექტის ხარვეზი). "ზ" ღერძის გარეთ აივნის ლითონის მოაჯირების ნაცვლად მოწყობილია კედლები. ჭრილების მიხედვით: დამატებით მოწყობილია რიგელები. გეგმების მიხედვით: ნაწილობრივ შეცვლილია კოლონების გაბარიტები. სართულებზე ნაწილობრივ გაზრდილია ბინების რაოდენობა და სადარბაზოს გაბარიტები. "5" და "9" ღერძებზე "გ-ბ" მონაკვეთში აივნებზე ლითონის მოაჯირების ნაცვლად მოწყობილია კედლები. -5.80 და -2.90 ნიშნულებზე: "5-8" მონაკვეთებში დამატებით მოწყობილია მონოლითური კედლები, "1-2" მონაკვეთში გაუქმებულია კოლონების ნაწილი. +0.00 ნიშნულზე: გაზრდილია სართულის სიმაღლე. +3.00 ნიშნულზე: შეცვლილია კიბის საფეხურების მოწყობა. "12-13" და "ბ-ა" მონაკვეთში გაზრდილია შენობის ფართი. +7.60 ნიშნულზე: "ბ" ღერძთან "2-3" და "11-12" მონაკვეთებში დამატებით მოწყობილია კედლები და კარი, საცხოვრებელი ფართის გაზრდის ხარჯზე შემცირებულია ტერასის ფართი. +34.00 ნიშნულზე: "2*" და "12*" ღერძებთან და "ბ" ღერძის გარეთ გაზრდილია ტერასის გაბარიტები. +40.60 ნიშნულზე: "ზ" ღერძის გარეთ შეცვლილია აივნის გამყოფი ტიხრების მდებარეობა. +43.90 ნიშნულზე: გაზრდილია კიბის და ლიფტის უჯრედისთვის განკუთვნილი ფართების სიმაღლე. გაზრდილია საკომუნიკაციო შახტების გაბარიტი,"9" და "დ" ღერძების კვეთასთან დამატებით მოწყობილია საკომუნიკაციო შახტა. შემცირებულია პარაპეტის სიმაღლე.

2021 წლის 13 დეკემბერს, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 123-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ვ" ქვეპუნქტის შესაბამისად, მუნიციპალური ინსპექციის სპეციალისტის მიერ შედგა №000897 შემოწმების აქტი, „სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების დაწყების შესახებ." საქმეშია მხარის №10/01212792623-17 06.10.2021წ.განცხადება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან **შ.პ.ს. "გალაქსი კონსტრაქშენ"-ის** მიერ, ჩადენილია საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 132-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა" ქვეპუნქტის „ა.დ." ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამშენებლო სამართალდარღვევა, კერძოდ ქ. თბილისში, დემეტრე თავდადებულის ქუჩა, №10ბ-ში, ს/კ №01.10.06.006.239-ზე, განხორციელდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ს.ს.ი.პ. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის №4517128 27.05.2019წ. (№4548327 17.06.2019წ.) ბრძანებით შეთანხმებული კორექტირებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით

ვიხელმძღვანელე რა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IV თავით, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57-ე დადგენილებით „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ", საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 122-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 123-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 125-ე მუხლის მე-4 ნაწილით, 126-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 127-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 128-ე მუხლის მე-3 ნაწილით და 132-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა" ქვეპუნქტის „ა.დ." ქვეპუნქტით,

დავადგინე:

1. **შ.პ.ს. "გალაქსი კონსტრაქშენ"** დაჯარიმდეს 15 000 (თხუთმეტი ათასი) ლარით, ქ. თბილისში, დემეტრე თავდადებულის ქუჩა, №10ბ-ში, ს/კ

№01.10.06.006.239-ზე, IV კლასის ობიექტის (მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი) არქიტექტურული პროექტის დარღვევით ნაწარმოები მშენებლობისთვის.

2. **შ.პ.ს. "გალაქსი კონსტრაქშენ"-ს** დაევალოს, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 126-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ჯარიმა გადაიხადოს ბიუჯეტის სასარგებლოდ დაჯარიმების შესახებ დადგენილების ჩაბარებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში:

საჯარიმო თანხა ჩაირიცხოს შემდეგ ანგარიშზე - **მიმღების დასახელება:** ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, **მიმღების ბანკი:** სახელმწიფო ხაზინა, **ბანკის კოდი: TRESGE22, საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: 300773263, გადახდის დანიშნულება:** დადგენილების ნომერი სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე.

3. საჯარიმო თანხის ნებაყოფლობით გადახდის შემთხვევაში, **შ.პ.ს. "გალაქსი კონსტრაქშენ"-ს** დაევალოს, შესაბამისი გადახდის ქვითრის წარმოდგენა;

4. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 126-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ჯარიმის დადგენილ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, სამშენებლო სამართალდამრღვევს დაერიცხება საურავი სამშენებლო სამართალდამრღვევის დაჯარიმების შესახებ დადგენილებით განსაზღვრული საჯარიმო თანხის ოდენობით.

5. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 126-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, ჯარიმის დაკისრების საფუძვლების აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, მისი დაკისრებიდან ყოველი სამი თვის შემდეგ, სამშენებლო სამართალდამრღვევი ჯარიმდება თავდაპირველად დაკისრებული ჯარიმით გათვალისწინებული საჯარიმო თანხის სამმაგი ოდენობით, რომელიც მას შეიძლება დაეკისროს არაუმეტეს სამჯერ.

6. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს, მისი გაცნობიდან 15 კალენდარული დღის ვადაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7).

მუნიციპალური ინსპექციის
უფროსის მოადგილე ზაზა კვიციანი

მცირედით შეცვლილია ვიტრაჟების ნახატები. ნაწილობრივ შეცვლილია საპროექტო გრუნტის ნიშნულები.

ფასადი "13-1": "13-12" მონაკვეთში აივნებზე დამატებით მოწყობილია კარები. +3.00 ნიშნულის ქვეშ "12" ღერძის მიმდებარეთ კედელს მონაცვლებული აქვს ადგილი. +13.50 ნიშნულზე "9-5" მონაკვეთში აივნების თავზე დამატებით მოწყობილია სართულშუა გადახურვის ფილა, გაზრდილია აივნების კედლების სიმაღლე. "12*-12" მონაკვეთში აივნებზე შემცირებულია ვიტრაჟების გაბარიტი. +36.60 ნიშნულიდან "9-8" და "6-5" მონაკვეთებში დამატებით მოწყობილია აივნის მცირე ზომის კედელი.

ფასადი "1-13": "2-3" და "11-12" მონაკვეთებში შემცირებულია საპროექტო ფანჯრების სიგანეები, დამატებით მოწყობილია ფანჯრები. "4" და "10" ღერძებთან აივნებზე ლითონის მოაჯირის ნაცვლად მოწყობილია კედლები. +3.00 ნიშნლის ქვეშ ავტოფარეხის კედელზე დამატებით მოწყობილია ღიობები. +7.60 ნიშნულზე "5-6" და "8-9" მონაკვეთებში აივნებზე დამატებით მოწყობილია კედლები. +7.60 ნიშნულზე "3" და "11" ღერძებთან დამატებით მოწყობილია ტერასის გამყოფი კედლები. +13.50 ნიშნულზე "5-9" მონაკვეთში აივნების თავზე დამატებით მოწყობილია სართულშუა გადახურვის ფილა, გაზრდილია აივნების კედლების სიმაღლე. +34.00 ნიშნულიდან შემცირებულია კიბის უჯრედის ღიობის გაბარიტი.

ფასადი "ა-ზ": +7.60 ნიშნულზე "გ-დ" მონაკვეთში "დ" ღერძთან ფანჯრის ნაცვლად მოწყობილია აივნის მოაჯირი(პროექტის ხარვეზი). "ზ" ღერძის გარეთ აივნებზე ლითონის მოაჯირების ნაცვლად მოწყობილია კედლები. +0.00 ნიშნულზე შეცვლილია ავტოფარეხში შესასვლელი ღიობის მდებარეობა, კერძოდ ღიობი "ბ-გ" ღერძების ნაცვლად მოწყობილია "ე-ზ" ღერძებში.

ფასადი "ზ-ა": +7.60 ნიშნულზე "დ-გ" მონაკვეთში "დ" ღერძთან ფანჯრის ნაცვლად მოწყობილია აივნის მოაჯირი(პროექტის ხარვეზი). "ზ" ღერძის გარეთ აივნის ლითონის მოაჯირების ნაცვლად მოწყობილია კედლები.

ჭრილების მიხედვით: დამატებით მოწყობილია რიგელები.

გეგმების მიხედვით:

ნაწილობრივ შეცვლილია კოლონების გაბარიტები. სართულებზე ნაწილობრივ გაზრდილია ბინების რაოდენობა და სადარბაზოს გაბარიტები. "5" და "9" ღერძებზე "გ-ბ" მონაკვეთში აივნებზე ლითონის მოაჯირების ნაცვლად მოწყობილია კედლები.

-5.80 და -2.90 ნიშნულებზე: "5-8" მონაკვეთებში დამატებით მოწყობილია ბოლოითური კედლები, "1-2" მონაკვეთში გაუქმებულია კოლონების ნაწილი.

+0.00 ნიშნულზე: გაზრდილია სართულის სიმაღლე.

+3.00 ნიშნულზე: შეცვლილია კიბის საფეხურების მოწყობა. "12-13" და "ბ-ა" მონაკვეთში გაზრდილია შენობის ფართი.

+7.60 ნიშნულზე: "ბ" ღერძთან "2-3" და "11-12" მონაკვეთებში დამატებით მოწყობილია კედლები და კარი, საცხოვრებელი ფართის გაზრდის ხარჯზე შემცირებულია ტერასის ფართი.

+34.00 ნიშნულზე: "2*" და "12*" ღერძებთან და "ბ" ღერძის გარეთ გაზრდილია ტერასის გაბარიტები.

+40.60 ნიშნულზე: "ზ" ღერძის გარეთ შეცვლილია აივნის გამყოფი ტიხრების მდებარეობა.

43.90 **ნიშნულზე:** გაზრდილია კიბის და ლიფტის უჯრედისთვის განკუთვნილი ფართების სიმაღლე. გაზრდილია საკომუნიკაციო შახტების გაბარიტი,"9" და "დ" ღერძების კვეთასთან დამატებით მოწყობილია საკომუნიკაციო შახტა. შემცირებულია პარაპეტის სიმაღლე.

უფროსი სპეციალისტი /ნ. პაქსაშვილი/

ელექტრონული საგადახდო დავალება No 16109

საქართველოს ბანკი

Transfer Order No 16109

თარიღი/Date: რეფერენს ნომერი/Reference number: 12775656654

სს "საქართველოს ბანკი"/JSC "Bank of Georgia" | კონფიდენციალური/Confidential | დაბეჭდილია ინტერნეტ ბანკიდან/Printed from Internet Banking

გადამხდელის დასახელება/Originator
შპს გალაქსი კონსტრაქშენ

ანგარიში (დებეტი)/Account No (Debit)
GE56BG0000000161526821GEL

თანხა/Amount
15000 GEL

გადამხდელის ბანკი/Originator Bank
საქართველოს ბანკი

ბანკის კოდი/Bank Code
BAGAGE22

თანხა სიტყვებით/Amount in words
თხუთმეტი ათასი ლარი 00 თეთრი

გადასახადის გადამხდელის დასახელება/Taxpayers name
შპს გალაქსი კონსტრაქშენ

საიდენტიფიკაციო კოდი/Number Taxpayer
404987056

მიმღების დასახელება/Recipient
ქ. თბილისი - შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში

ანგარიში, სახაზინო კოდი/Acc.Treasure Code
300773263

ბანკში შემოსვლის თარიღი/received by the bank
07/03/2022

მიმღების ბანკი/Recipient Bank
სახელმწიფო ხაზინა

ბანკის კოდი/Bank Code
TRESGE22

გატარებულია ბანკის მიერ/Implemented by the Bank

გადახდის დანიშნულება/Description
დადგენილება #000897 სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე.

ხელმოწერა/Signature:

დამატებითი ინფორმაცია/Additional Info

შტამპი: "ს.ს. საქართველოს ბანკი" J.S.C. "BANK OF GEORGIA" შექმნილია ინტერნეტ ბანკში CREATED IN INTERNET BANK

ხელმძღვანელის ხელმოწერა/Director Signature:

ბეჭედი:

მთ. ბუღალტერის ხელმოწერა/Chief Accountant Signature: